# სახელმწიფო აუდიტის სამსახური

## განათლების მართვის ინფორმაციული სისტემის აუდიტი

# აუდიტის მოტივაცია

## განათლების სფეროს მნიშვნელობა

- სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“
- გაერთიანებული ერების (UN) ორგანიზაციის მიერ მდგრადი განვითარების (SDGs) მიზნები - SDG 4
- კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტი

# აუდიტის მოტივაცია

## მსოფლიო ბანკის შეფასებით:

- განათლების სექტორში არსებული მონაცემები არ არის ხარისხიანი და ყოვლისმომცველი, რაც ხელს უშლის სტრატეგიული მიმართულებების ეფექტიან განსაზღვრას
- არ არსებობს ერთი კონკრეტული უწყება, რომლის ინფორმაციაზე დაყრდნობითაც შესაძლებელი იქნებოდა განათლების სფეროს ყველა მიმართულებით არსებული საერთო სურათის შექმნა
- სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღების პროცესში არ ხდება განათლების სისტემაში არსებული მონაცემების ადეკვატური გამოყენება.

# აუდიტის შესწავლის საგანი

## აუდიტის მიზანია ზოგადი განათლების მართვის ინფორმაციული სისტემის, მისი მმართველობისა (GOVERNANCE) და უსაფრთხოების არსებული პრაქტიკის შეფასება.

- რამდენად ეფექტიანია კონტროლის გარემო ზოგადი განათლების მართვის ინფორმაციული სისტემის დანერგვისა და ფუნქციონირებისათვის?
- რამდენად ქმნის ინფორმირებული და დროული გადაწყვეტილების მიღების წინაპირობებს სისტემის არსებული ფუნქციონალი და მონაცემები?
- რამდენად უზრუნველყოფილია ინფორმაციის უსაფრთხოება eSchool სისტემაში?

# აუდიტის მასშტაბი

## აუდიტის ობიექტი

- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო (შემდგომში „სამინისტრო“)

- სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (შემდგომში „სააგენტო“)

## აუდიტის პერიოდი

- 2015-2018 წლები

# ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘ

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲣᲚ-ᲡᲐᲙᲝᲛᲣᲜᲘᲙᲐᲪᲘᲝ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝᲒᲘᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲨᲘ ᲛᲐᲗᲘ ᲮᲔᲚᲛᲘᲡᲐᲬᲕᲓᲝᲛᲝᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲐ

ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ

ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲐ

ᲡᲐᲒᲐᲜᲛᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲚᲝ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲐ

# განათლების მართვის სისტემის მიზნები



სწავლის გაუმჯობესებული შედეგები



სრულყოფილი ინფორმაციის გენერირება



ინფორმაციის გამოყენება გადაწყვეტილების მიღების პროცესში



დროული რეაგირება მარტივი ვიზუალიზაციის საშუალებით

# განათლების მართვის სისტემის მოდულები

## ფუნქციონირებადი მოდულები

2015 წელს შემუშავებული

- ადმინისტრირების მოდული
- მოსწავლეების მოდული
- სახელმძღვანელოების მოდული
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარება
- პირების მენეჯერი

2016 წელს შემუშვებული

- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრი
- ექსტერნების რეგისტრაცია

2018 წელს შემუშავებული

- სკოლების მოვლა-პატრონობა

## არაფუნქციონირებადი მოდულები

2015 წელს შემუშავებული

- ავტომობილები / ავტოპარკი
- ელექტრონული ჟურნალი ( 335 სკოლაში)

2016 წელს შემუშვებული

- სასკოლო ტრანსპორტი
- სასკოლო ბანაკები

2018 წელს შემუშავებული

- სკოლის მონიტორინგი

# ᲐᲣᲓᲘᲢᲘᲡ ᲛᲘᲒᲜᲔᲑᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲠᲔᲙᲝᲛᲔᲜᲓᲐᲪᲘᲔᲑᲘ

# პროექტის მართვის ნაკლოვანებები

SABER-EMIS შეფასების მიხედვით  მნიშვნელოვანია შემდეგი პრინციპების გათვალისწინება:

- პროექტზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრა;
- პროექტის მიზნებისა და სისტემის მიმართ მოთხოვნების ცხადად ფორმულირება;
- პროექტის დანერგვის გეგმის მომზადება( მოიცავს დროის  ჩარჩოსა და განრიგს)
- პროექტთან დაკავშირებული ხარჯების განსაზღვრა  და  ფაქტობრივი დანახარჯების მონიტორინგი.

აღნიშნული პრიციპების არასრულყოფილმა  გათვალისწინებამ განაპირობა შემდეგი ნაკლოვანებები:

# არასრულყოფილი ინფორმაცია

## არასრულყოფილი ინფორმაცია

- სისტემის მოდული შემუშავებულია, თუმცა სრულად არ ივსება მომხმარებლების მიერ
- სისტემის მოდული არ არის დანერგილი / არ არსებობს

# არასრულყოფილი ინფორმაცია

| მონაცემების ტიპები | მონაცემების აღწერა | eSchool/ სტატუსი |
|---|---|---|
| ადმინისტრაციული მონაცემები | მოსწავლის დემოგრაფიული მონაცემები (ასაკი, სქესი, სოციალური სტატუსი და სხვ.) | √ |
| | მოსწავლის შესახებ ინფორმაცია სკოლამდელიდან უმაღლესი განათლების ჩათვლით | × |
| | ჯანმრთელობის შესახებ მონაცემები (იმუნიზაციის შესახებ ინფორმაცია, დაავადებების ისტორია და სხვ.) | × |
| | სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეები | √ |
| | სწავლის შესახებ ინფორმაცია (მოსწავლის ჩარიცხვა, კლასიდან კლასში გადასვლა, კლასის მიტოვება და სხვ.) | √ |
| | სკოლის შესახებ ზოგადი ინფორმაცია | √ |
| | სკოლის პროდუქტიულობისა და მიღწევების შესახებ ინფორმაცია (მოსწავლისა და მასწავლებლის რაოდენობის ფარდობა, მოსწავლეების რა ოდენობა ამთავრებს სკოლას და სხვ.) | × |
| | სკოლის ინფრასტრუქტურული საჭიროებები | × |
| | სკოლების რეიტინგი | × |
| ფინანსური მონაცემები | სკოლის ბიუჯეტი, შემოსავლები, დანახარჯები, სუბსიდიები | × |
| ადამიანური რესურსების შესახებ ინფორმაცია | სკოლის პერსონალის ზოგადი მონაცემები | √ |
| | სკოლის პერსონალის ხელფასები | √ |
| | მასწავლებელთა შეფასებები | √ |
| | მასწავლებელთა პროფესიული წინსვლა | √ |
| სწავლის შედეგების შესახებ ინფორმაცია | მოსწავლეების აკადემიური მოსწრება | × |
| | ეროვნული შეფასების/გამოცდის შედეგები | × |

# არასრულყოფილი ინფორმაცია

## რეკომენდაცია

მონაცემებზე დაფუძნებული მიდგომის ჩამოსაყალიბებლად და ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების ხელშეწყობის მიზნით, სამინისტროსთან შეთანხმებით სააგენტომ შეიმუშაოს:

- eSchool სისტემის დანერგვის გეგმა შესაბამისი დროის განრიგის მითითებით. აღნიშნული გეგმა, სხვა დანარჩენთან ერთად გულისხმობს eSchool სისტემაში არსებული ინფორმაციის გადახედვას და ზემოაღნიშნული მიზნების მიღწევისათვის საჭირო მინიმალური მონაცემების განსაზღვრას.

# ელექტრონული ჟურნალის მიზნები

ეფექტიანი eJournal იძლევა შემდეგ შესაძლებლობებს:

- ინდივიდუალურად მოსწავლის პრობლემებზე დროული რეაგირება, როგორც მშობლის, ასევე მასწავლებლის მიერ;
- სამინისტროს ცენტრალიზებული სახით ჰქონდეს ხედვა გასაუმჯობესებელ საგნებზე/პროგრამებზე და უზრუნველყოს აღნიშნულზე შესაბამისი რეაგირება;
- სკოლის დირექციას შესაძლებლობა ჰქონდეს მუდმივი მონიტორინგი გაუწიოს მასწავლებლებისა და მოსწავლეების აქტივობებს.

# ელექტრონული ჟურნალის დანერგვასთან დაკავშირებული ხარვეზები

**2015-2016 წლები**

დაიწყო e-journal შემუშავება

**2016-2017 წლები**

პედაგოგებს ჩაუტარდათ ტრენინგები

**2017 წელი**

სატესტო რეჟიმში დაიწყო მოდულის გამოყენება

**09/2018 წელი**

335 სკოლა სატესტო რეჟიმში იყენებს მოდულს

# რეკომენდაცია

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ელექტრონული ჟურნალის მოდულის წარმატებით დანერგვისა და მასზე ყველა მნიშვნელოვანი მხარის წვდომისათვის, მიზანშეწონილია სამინისტროსთან შეთანხმებით სააგენტომ შეიმუშაოს:

- ელექტრონული ჟურნალის დანერგვის გეგმა, რომელიც სხვა დანარჩენთან ერთად, ითვალისწინებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ეტაპობრივი ჩართვის გრაფიკს, სკოლების მოტივაციის და ვალდებულების მექანიზმებს და საპილოტე ეტაპის მაქსიმალურ ხანგრძლივობას.

# ESCHOOL სისტემის ანალიტიკური ფუნქციონალის მიზნები



# ESCHOOL სისტემის ანალიტიკური ფუნქციონალის სისუსტეები

ჩართული მხარეები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას:

- მშობელმა დროულად და მარტივად მიიღოს ინფორმაცია მოსწავლის აკადემიურ მოსწრებაზე
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელობამ დროულად გააკონტროლოს მასწავლებლების აქტივობები
- სააგენტომ მარტივად გაუწიოს ზედამედველობა სკოლების მიერ ინფორმაციის ასახვის დინამიკას
- სამინისტრომ დროულად, მარტივად აღქმადი ფორმით მიიღოს ინფორმაცია საქართველოს მასშტაბით სკოლების მიღწევებზე

# რეკომენდაცია

მონაცემებზე დაფუძნებული მიდგომის ჩამოსაყალიბებლად და ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების ხელშეწყობის მიზნით, სამინისტროსთან შეთანხმებით სააგენტომ შეიმუშაოს:

- სისტემის ფუნქციონალის გაუმჯობესების გეგმა და მის მიმართ საჭირო მოთხოვნები. აღნიშნული საშუალებას უნდა აძლევდეს სამინისტროს და სხვა ჩართულ მხარეებს დროულად და მარტივი გზით მიიღონ განახლებული ინფორმაცია განათლების სექტორში მიმდინარე საკითხებზე.

# ინფორმაციული უსაფრთხოება

# ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემა

## 6.1. იუმს-ის გავრცელების სფერო

- სააგენტოს მიერ დამტკიცებულია იუმს-ის დოკუმენტი რომელიც მოიცავს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემასა (eSchool) და შესაბამის მონაცემთა დამუშავების ცენტრს, ხოლო გავრცელების სფერო შემოსაზღვრულია გეოგრაფიული არეალით.
- მასშტაბი არ მოიცავს სააგენტოს მიერ შემუშავებულ ან/და მართვის ქვეშ მყოფ სხვა სისტემებს

# ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემა

## 6.1. პასუხისმგებლობები

- სააგენტოში არ არის გამიჯნული ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ინფორმაციული უსაფრთხოების ფუნქციის ზედამხედველობები.

## 6.2. რესურსები

- 2016-2018 წლებში არ ჩატარებულა არცერთი ტრენინგი იუმს-ის დანერგვაში მონაწილე პირებისათვის
- სააგენტოს ინფორმაციული სისტემების რაოდენობის, კომპლექსურობისა და დიდი გეოგრაფიული არეალის გათვალისწინებით, არასაკმარისია ინფორმაციული უსაფრთხოების თანამშრომლების რაოდენობა

# რეკომენდაცია

- სააგენტოს ხელმძღვანელობამ გადახედოს იუმს-ის გავრცელების სფეროს და უზრუნველყოს მისი შესაბამისობა ორგანიზაციულ მიზნებთან, დაინტერესებული მხარეების ინტერესებთან და საკანონმდებლო მოთხოვნებთან
- ინფორმაციული ტექნოლოგიების მმართველობის ფუნქცია გაიმიჯნოს ინფორმაციული უსაფრთხოების ზედამხედველობისგან და ინფორმაციულ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ი პირდაპირ დაექვემდებაროს სააგენტოს დირექტორს
- სააგენტოს მენეჯმენტმა განსაზღვროს აუცილებელი და საკმარისი ადამიანური რესურსები. ამასთანავე, მიზანშეწონილია განისაზღვროს ზემოხსენებული თანამშრომლების პროფესიული განვითარების გეგმა (PDP) და უზრუნველყოფილ იქნეს სისტემატური ტრენინგები

# ცვლილებების მართვა

სააგენტოში არ არსებობს ცვლილებების მართვის სათანადო პრაქტიკა და არ იწარმოება დოკუმენტაცია კრიტიკულ ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით. მაგალითისათვის, აუდიტის მიმდინარეობისას, სააგენტოს არ გააჩნდა ინფრასტრუქტურის მოწყობის განახლებული/მიმდინარე ლოგიკური ტოპოლოგია.



# რეკომენდაცია

ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების შესამცირებლად, შეიმუშაოს ცვლილებების მართვის ადეკვატური პრაქტიკა საკანონმდებლო მოთხოვნებთან და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობით.

# მოწყვლადობის ანალიზი

- სააგენტოს კიბერუსაფრთხოების კონტროლების ტესტირებისათვის, აუდიტის ჯგუფმა განახორციელა eSchool სისტემის მოწყვლადობის ანალიზი.
- სააგენტოს ინტერნეტწვდომის პრაქტიკა საჭიროებს გაუმჯობესებას.

# SABER-EMIS შეფასება



# მაღლობა ყურადღებისთვის

www.sao.ge